



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 345

ქალაქი ქუთაისი 18 იანვარი 2017 წელი

„სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან“
გრანტის მიღების თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის,
შოთა მურღულიასათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის
მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის №335 განკარგულებაში
ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე:

მუხლი 1. „სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან“ გრანტის მიღების თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, შოთა მურღულიასათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის №335 განკარგულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. განკარგულების პრეამბულაში ფრაზა: „53647,66 (ორმოცდაცამეტიათას ექვსასორმოცდაშვიდი და სამოცდაექვსი მასედი) ევროს.“ შეიცვალოს ფრაზით: „177 038 (ასამოცდაჩვიდმეტიათას ოცდათვრამეტი) ლარს.“

2. განკარგულების პირველი მუხლი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „**მუხლი 1.** მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, შოთა მურღულიას სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის“ მიერ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტისათვის შემენილი კომპაქტორიანი ნაგავმზიდი მანქანებისა და ნარჩენების კონტეინერების საფასურის გადახდის მიზნით, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის სახელით მიიღოს გრანტი (177 038 ლარი), ასევე, გააფორმოს შესაბამისი ხელშეკრულება.“

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრადის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.